შ.პ.ს. "კონსტუდიო"

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტი, ხიზანიშვილის ქ.108 (ს/კ: 01.11.10.008.001), შენობის კორექტირებული პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2021

წინა პირობები:

შპს "მირაქსი"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე მშენებარე სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. ინდმეწარმე ზ. დევდარიანის მიერ 2019 წელს შესრულებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს "ბიმოსტუდიო"-ს მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის კორექტირებული პროექტის ვექტორული ფაილი.
3. "მირაქსი"-ს მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს "მირაქსი"-ს მიერ შესრულებული პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

განსახილველი 12 სართულიანი შენობის პროექტის კორექტირების მიზეზია მასთან მიშენებული ავტოფარეხის ფართის დამატება. პროექტის წინა ვერსიაში მიშენება წარმოდგენილი იყო კორპუსებს შორის ორდონიანი დამაკავშირებელი გვირაბით და მცირე გაბარიტების ავტოსადგომით. ამჟამად მიშენება წარმოდგენილია ერთდონიანი დამაკავშირებელი გვირაბის და დიდი ფართის ავტოსადგომის ერთიანი კონსტრუქციით.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

როგორც ძირითადი შენობისთვის, ასევე მიშენებისათვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხა მოწითალო (ფენა III): φ=16.4^0; C=36 კპა; E=22 მპა. მიშენების საძირკვლებად მიღებულია 25 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი

ფილა. მიშენება კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (400X400), კედლების (b=200), და ურიგელო დახურვის ფილის (h=250) კარკასულ-ჩარჩოვანი სივრცული სისტემით. მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B22.5; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია AIII და AI. ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-ჩარჩოვანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "მონომახ-საპრ 2013"-ის გამოყენებით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანაწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით. ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი (განიკვეთები და არმირება) შეესაბამება და ასახავს კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შედეგებს. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

დასკვნა:

წარმოდგენილი პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ

ედიშერ წოწერია

თბილისი 21-05-2021